პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ევროკავშირის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საინვესტიციო გარემოს მიმოხილვა და სამოქმედო გეგმები აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეული ქვეყნისთვის

განხორციელების ვადა: 16.08.2018 - 22.04.2021

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

EBRD

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

პროექტმა ხელი შეუწყო სტრუქტურული რეფორმების დიზაინს და განხორციელებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში შემდეგ სფეროებში: ბიზნესი და საინვესტიციო გარემო, ფინანსური ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალი (შრომის ბაზრის და სოციალური დაცვის ჩათვლით), მმართველობა, ასევე სახელმწიფო ფინანსების სტაბილურობა, და კანონის უზენაესობის და სათანადო მმართველობის განმტკიცება.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტი სტრუქტურირებული იყო 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელ 3 მიმართულებად (2018 წლის აპრილი - 2021 წლის მარტი):
I) 1-ლი მიმართულების შედეგი - საინვესტიციო გარემოს სამოქმედო გეგმების შედგენა აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან თითოეულისთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ თითოეულ ქვეყანაში ჩატარებული საინვესტიციო გარემოს დიაგნოსტიკის მიხედვით, მკაფიო გენდერული ფოკუსით და კონსულტაციებით ქვეყნების ხელისუფლებებთან და კერძო სექტორის ძირითად მონაწილე მხარეებთან.
II) მე-2 მიმართულება ფოკუსირებული იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კონსულტაციების გაგრძელებაზე ევროკავშირის წარმომადგენლობასთან 6-დან თითოეულ ქვეყანაში; კონსულტაციების მიზანი იყო ტექნიკური დახმარების ინიციატივების პრიორიტეტების განსაზღვრა მე-3 მიმართულების განსახორციელებლად, 1-ლი მიმართულების პროცესში შემუშავებული საინვესტიციო გარემოს სამოქმედო გეგმების შედეგების საფუძველზე.
III) მე-3 მიმართულება ფოკუსირებული იყო ტექნიკური დახმარების ინიციატივების ამოქმედებაზე, რომლებიც შერჩეული იქნა ევროკომისიის მიერ ქვეყნების ხელისუფლებებთან კონსულტაციების საფუძველზე მე-2 მიმართულების პროცესში.